საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს
სხდომის ოქმი N 6

ქ. თბილისი 26 სექტემბერი, 2018 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ: ნადარაია ელიზბარ, შენგელაია ალექსანდრე, შალიკაშვილი მორის, ჩიტაშვილი მარინე, ანანიაშვილი იური, ხუციშვილი ქეთევან, კაპანაძე დავით, ბერულავა გიორგი, ებრალიძე თამარ, ჯობავა თამარი, ოკრიბელაშვილი ნინო.

დღის წესრიგი:

1. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **დავით ჯანდიერის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
2. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **გიორგი გიგუაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
3. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **ზურაბ მაჭარაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
4. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **ეკატერინე ქარდავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
5. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ქეთევან სიდამონიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
6. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **მარიკა ჯაფარიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;

7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტ **თორნიკე ხოშტარიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;

8. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმიის“ დოქტორანტ **გურანდა ავქოფაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის - „ტექნოგენურად დაბინძურებულ ნიადაგებზე მძიმე ლითონთა ფიტომიგრაცია“ - დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

9. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **ხათუნა ჭითანავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

10. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **ირაკლი ყანდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

11. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაციის“ დოქტორანტ **თინათინ მაჭარაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

12. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაციის“ დოქტორანტ **თამარ ნარინდოშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

13. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაციის“ დოქტორანტ **ნათია სვანიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

14. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობების“ დოქტორანტ **გიორგი ლეკვეიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

15. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „გეოგრაფიის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **თამარ ხარძიანის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

16. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „რუსეთისმცოდნეობის“ დოქტორანტ **ანა მანაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

17. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **მერი დაუშვილის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

18. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ლანა სულაკაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

19. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **თამარ ღუტიძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

20. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტ **ლია გვაზავას** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

21. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტ **დიმიტრი ჯავახაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

22. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტ **სალომე საყვარელიძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

23. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **გიორგი მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

24. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ლევან სილაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

25. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ალექსანდრე მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

26. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტ **თინათინ მეძმარიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **დავით ჯანდიერის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: დოქტორანტ დავით ჯანდიერის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის ქეთევან ხუციშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „გამყოფი კედლების სტატუსი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის კონტექსტში“ - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დისერაციიის დაცვა შედგა 2017 წლის დეკემბერში.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია, თუ დისერტაციის თემის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომები მითითებული იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომში.

მოისმინეს: დოქტორანტ დავით ჯანდიერის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტი ვალდებულია გამოქვეყნებული შრომების სია წარმოადგინოს ცალკე დოკუმენტად და დისერტაციაში მითითება არ წარმოადგენს ვალდებულებას.

აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავამ დასვა კითხვა ნაშრომის სამეცნიერო სიახლის თაობაზე.

მოისმინეს: დოქტორანტ დავით ჯანდიერის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დისერტაციაში მიმოხილულია მსოფლიოში არსებული სადავო სახელმწიფოთაშორისი კედლები, მათ შორის ბარიერის მშენებლობის რუსული პროექტი სამაჩაბლოსა და დანარჩენ საქართველოს შორის. საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებზე, ასევე მოცემულ საკონსულტაციო დასკვნაში სასამართლოს მითითებებზე დაყრდნობით, ავტორი ასკვნის საერთაშორისო სამართლის ნორმების და პრინციპების დარღვევის შესახებ ბარიერების აგების გამო თურქეთის მიერ კვიპროსის, მაროკოს მიერ დასავლეთ საჰარას და რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, ვინაიდან ამ ეტაპზე საბჭოს მხრიდან სრულფასოვნად ვერ ხერხდება ნაშრომების გადამოწმება პლაგიატსა და მონაცემების გაყალბებაზე, სრული ნდობა უნდა გამოუცხადონ ფაკულტეტს და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას.

აზრი გამოთქვა: დავით ჯანდიერის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის ქეთევან ხუციშვილის და ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის ლევან ალექსიძის განმარტებით მათთვის არ არის ცნობილი ნაშრომის პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად (ხმის მიცემისას სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს 2 წევრი, რომლებიც მოგვიანებით შემოუერთდნენ - ალექსანდრე შენგელაია და ნინო ოკრიბელაშვილი).

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (9 ხმა), დამტკიცებულ იქნა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დავით ჯანდიერისათვის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **გიორგი**

გიგუაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: დოქტორანტ გიორგი გიგუაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის ბესარიონ ზოიძის ინფორმაცია დისერტაციის - „კორპორაციის კაპიტალიზაციის მექანიზმების მოწესრიგება კაპიტალის ბაზრის სამართლის მიხედვით" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. ბ. ზოიძემ აღნიშნა, რომ ნაშრომი შეფასდა ფრიადზე (92 ქულა).

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაია დაინტერესდა აღნიშნულ თემაზე უცხოეთში გამქვეყნებული კვლევებით. გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია, თუ დისერტაციის თემის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომები მითითებული იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომში.

მოისმინეს: პროფ. ბესარიონ ზოიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე კვლევები საქართველოში არაა გამოქვეყნებული; ნაშრომი წარმოადგენს სიახლეს. მან ასევე აღნიშნა, რომ დოქტორანტი ვალდებულია გამოქვეყნებული შრომების სია წარმოადგინოს ცალკე დოკუმენტად და დისერტაციაში მითითება არ წარმოადგენს ვალდებულებას; თუმცა, თუ ეს იქნება საუნივერსიტეტო წესი, ფაკულტეტიც გაიზიარებს და შემდგომში სადისერტაციო ნაშრომებში მოხდება დისერტაციის თემის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომების მითითება.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, ვინაიდან ამ ეტაპზე საბჭოს მხრიდან სრულფასოვნად ვერ ხერხდება ნაშრომების გადამოწმება პლაგიატსა და მონაცემების გაყალბებაზე, სრული ნდობა უნდა გამოუცხადონ ფაკულტეტს და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას. გიორგი გიგუაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის ბესარიონ ზოიძის განმარტებით, მისთვის არ არის ცნობილი ნაშრომის პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად (ხმის მიცემისას სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს 2 წევრი, რომლებიც მოგვიანებით შემოუერთდნენ - ალექსანდრე შენგელაია და ნინო ოკრიბელაშვილი).

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (9 ხმა), დამტკიცებულ იქნა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გიორგი გიგუაშვილისათვის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ზურაბ მაჭარაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: დოქტორანტ ზურაბ მაჭარაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის ნანა ჭიღლაძის ინფორმაცია დისერტაციის - „მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი ბიკამერალურ პარლამენტში (ქართულ პერსპექტივასთან კავშირში)" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ დოქტორანტს ჰყავდა ასევე უცხოელი ხელმძღვანელი (ლუჩიო პეგორარო - ბოლონიის უნივერსიტეტის შედარებითი საჯარო სამართლის პროფესორი, ნუევო-ლეონის უნივერსიტეტის პროფესორი) და კვლევის დიდი ნაწილი იტალიის უნივერსიტეტებში ჩაატარა. ასევე, კვლევის შედეგები გამოქვეყნებული აქვს უცხოეთში. ნ. ჭიღლაძემ საბჭოს წარუდგინა დისერტაციის დაცვის დოკუმენტაცია და დისერტაციის ერთი ეგზემპლარი. აღნიშნა, რომ დისერაციის დაცვა შედგა 2018 წლის იანვარში და ნაშრომი შეფასდა 85 ქულით.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია, თუ დისერტაციის თემის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომები მითითებული იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომში.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, ვინაიდან ამ ეტაპზე საბჭოს მხრიდან სრულფასოვნად ვერ ხერხდება ნაშრომების გადამოწმება პლაგიატსა და მონაცემების გაყალბებაზე, სრული ნდობა უნდა გამოუცხადონ ფაკულტეტს და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას. ზურაბ მაჭარაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის ნანა ჭიღლაძის განმარტებით მისთვის არ არის ცნობილი ნაშრომის პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად (ხმის მიცემისას სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს 2 წევრი, რომლებიც მოგვიანებით შემოუერთდნენ - ალექსანდრე შენგელაია და ნინო ოკრიბელაშვილი).

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (9 ხმა), დამტკიცებულ იქნა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზურაბ მაჭარაძისათვის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ეკატერინე ქარდავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: დოქტორანტ ეკატერინე ქარდავას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი მახარობლიშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „საქართველოს შრომის სამართლის რეფორმა ევროპული ინტეგრაციისა და ასოცირების შეთანხმების მოთხოვნათა ჭრილში" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის

მიმდინარეობის შესახებ. გ. მახარობლიშვილმა საბჭოს წარუდგინა დისერტაციის დაცვის დოკუმენტაცია და დისერტაციის ერთი ეგზემპლარი. აღნიშნა, რომ ნაშრომი შეფასდა 85 ქულით.

აზრი გამოთქვა: მარინე ჩიტაშვილმა კითხვით მიმართა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი მახარობლიშვილს: რამდენად დეტალურად განიხილავს დოქტორანტი ნაშრომში ასოცირების შეთანხმებას საქართველოს შრომის სამართლის რეფორმასთან მიმართებაში და საუბრობს თუ არა აღნიშნულ საკითხზე დასკვნით ნაწილში?

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი მახარობლიშვილმა განაცხადა, რომ დეტალურად არ ახსოვს დასკვნითი ნაწილი, თუმცა ნაშრომი წარმოდგენილია და შესაძლებელია დასკვნის გაცნობა.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, ვინაიდან ამ ეტაპზე საბჭოს მხრიდან სრულფასოვნად ვერ ხერხდება ნაშრომების გადამოწმება პლაგიატსა და მონაცემების გაყალბებაზე, სრული ნდობა უნდა გამოუცხადონ ფაკულტეტს და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას. ეკატერინე ქარდავას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი მახარობლიშვილის განმარტებით მისთვის არ არის ცნობილი ნაშრომის პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ იყო წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად (ხმის მიცემისას სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს 2 წევრი, რომლებიც მოგვიანებით შემოუერთდნენ - ალექსანდრე შენგელაია და ნინო ოკრიბელაშვილი).

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (9 ხმა), დამტკიცებულ იქნა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეკატერინე ქარდავასათვის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ქეთევან სიდამონიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

აზრი გამოთქვა: ნინო ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ სხდომაზე არ გამოცხადდნენ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

დაადგინეს: მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ქეთევან სიდამონიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) განსახილველად გადაიდოს მომდევნო სხდომისათვის.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **მარიკა ჯაფარიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;

მოისმინეს: დოქტორანტ **მარიკა ჯაფარიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის ჯენარა ქრისტესაშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „ვაგინური ჰისტერექტომია, ოპტიმალური ქირურგიული მეთოდი მორბიდული სიმსუქნით დაავადებული პაციენტებისათვის“ - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. ისაუბრა კვლევის მიზანზე - მორბიდული სიმსუქნით დაავადებულ ქალებში ჰისტერექტომიის ორ სხვადასხვა მინინვაზიურ ჩარევას შორის ოპტიმალური მეთოდის გამოვლენა. კვლევაში დადგინდა, რომ პაციენტებში მორბიდული სიმსუქნით ვაგინური ჰისტერექტომია არის უფრო ეფექტური მეთოდი ლაპაროსკოპიასთან შედარებით.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაიამ დასვა კითხვა დოქტორანტის პრაქტიკული გამოცდილების თაობაზე.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე ჯენარა ქრისტესაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტი მარიკა ჯაფარიძე წლების განმავლობაში მუშაობს „ავერსის“ კლინიკაში და საკმაოდ წარმატებული ოპერატორია.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცებულ იქნა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მარიკა ჯაფარიძისათვის მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტ **თორნიკე ხოშტარიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;

მოისმინეს: დოქტორანტ **თორნიკე ხოშტარიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის ლარისა ყორღანაშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „ბიზნესის სტრატეგიის გავლენა საწარმოების საქმიანობის შედეგებზე საქართველოში“ - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ.

აზრი გამოთქვა: ალ. შენგელაიამ დასვა კითხვა, თუ რა მეცნიერული სიახლეა აღნიშნულ ნაშრომში.

მოისმინეს: მეცნირულ სიახლეს წარმოადგენს კვლევის კომპლექსურობა, რომელიც ამოწმებს სტრატეგიულ დაგეგმვას, სტრატეგიულ განხორციელებას და ბიზნესის სტრატეგიას კომპანიის შედეგებთან მიმართებაში.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცებულ იქნა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თორნიკე ხოშტარიასათვის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმიის" დოქტორანტ **გურანდა ავქოფაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის - „ტექნოგენურად დაბინძურებულ ნიადაგებზე მძიმე ლითონთა ფიტომიგრაცია" - დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმიის" დოქტორანტ **გურანდა ავქოფაშვილს** სადისერტაციო ნაშრომის - „ტექნოგენურად დაბინძურებულ ნიადაგებზე მძიმე ლითონთა ფიტომიგრაცია" - დაცვის თარიღად დაუმტკიცდეს 2018 წლის 5 ოქტომბერი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის" დოქტორანტ **ხათუნა ჭითანავას** სადისერტაციო ნაშრომის - „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია თანამედროვე საქართველოში თანამედროვე მეთოდებით" - დაცვის კომისიის შემადგენლობა.

აზრი გამოთქვა: თ. ებრალიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ კომისიაში არიან მხოლოდ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები. მიმაჩნია, რომ კომისიის წევრი აუცილებლად უნდა იყოს კრიმინოლოგი.

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და შემფასებლების დამტკიცებისას აუცილებლად წარმოდგენილ იქნეს თემის მოკლე ანოტაცია.

აზრი გამოთქვა: მ. ჩიტაშვილმა დასვა საკითხი, ფაკულტეტებმა წარმოადგინონ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და შემფასებლების მიერ თუნდაც ერთი გამოქვეყნებული ნაშრომის დასახელება სადისერტაციო ნაშრომის თემატიკაზე.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ ხომ არ იქნება საბჭოს ეს მოთხოვნა ფაკულტეტების მიმართ უნდობლობა?

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტ ხათუნა ჭითანავას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიაში ყველა წევრი სამართლის დოქტორის ხარისხის მქონეა და შესაბამისად ანიჭებენ სამართლის დოქტორის აკადემიურ ხარისხს. კომისიის შემადგენლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

აზრი გამოთქვა: ნ. ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ გართულდება კონკრეტული ვიწრო სპეციალობით კომისიის წევრების და შემფასებლების შერჩევა.

დაადგინეს: სადისერტაციო საბჭოს წევრებს შორის - საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებასთან, საბჭოს მუშაობის რეგლამენტთან, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიების შემადგენლობის განსაზღვრასა და შემფასებლების დამტკიცებასთან დაკავშირებით - აზრთა სხვადასხვაობის გამო დღის წესრიგის N9 - N26 საკითხების განხილვა გადაიდოს რექტორთან შეხვედრის და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი